




BOSCH



Register your
new device on
MyBosch now and
get free benefits:
[bosch-home.com/
welcome](https://bosch-home.com/welcome)

**Serie 2
VeroCafe
TIE20...**


[ka] მომხმარებლის
სანელმძღვანელო



A



B



C



D




E




F


1




2




3




4




5




6




7




8




9




10




11




12




13




14




15




16




17




18




19




20




21




22




23



24



25



26

დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ ციფრული მომხმარებლის სახელმძღვანელო.



სარჩევი

1 უსაფრთხოება	8	7.3 ყავის მომზადება ახალი მარცვლებით.....	18
1.1 ზოგადი მითითებები.....	8	7.4 რძიანი სასმელის ჩამოსხმა ...	18
1.2 დანიშნულებისამებრივი გამოყენება.....	8	7.5 რძიანი ყავის მომზადება.....	18
1.3 გამოყენების სპექტრის შეზღუდვა	8	7.6 რძის აქაფება	19
1.4 უსაფრთხოების მითითებები	9	7.7 სასმელის პარამეტრები	19
2 გარემოს დაცვა და ეკონომია ...	12	8 საფქვაკი	21
2.1 შეფუთვის გადაგდება.....	12	8.1 დაფქვის ხარისხის დაყენება	21
2.2 ენერჯის დაზოგვა.....	12	9 ჭიქის გამათბობელი¹	21
3 მონტაჟი და დაერთება.....	12	9.1 ჭიქის გამათბობელის აქტივაცია და დეაქტივაცია ¹ ..	21
3.1 მოწოდების მოცულობა	12	10 ძირითადი პარამეტრები	22
3.2 დანადგარის მონტაჟი და შეერთება	12	10.1 ძირითადი პარამეტრების შეცვლა	22
4 გაცნობა.....	13	10.2 საბაზისო პარამეტრების მიმოხილვა.....	22
4.1 დანადგარი.....	13	11 წმენდა და მოვლა.....	23
4.2 საკონტროლო პანელი	13	11.1 შესაძლებელია გაირეცნოს ჭურჭლის სარეცხ მანქანაში	23
4.3 ეკრანი	14	11.2 საწმენდი საშუალება.....	24
5 აქსესუარი.....	15	11.3 დანადგარის გაწმენდა	25
6 პირველ გამოყენებამდე	15	11.4 საწვეთურისა და ყავის ნარჩენების კონტეინერის გასუფთავება.....	25
6.1 დანადგარის გამზადება და გაწმენდა.....	15	11.5 რძის ასაქაფებელის გარეცხვა	25
6.2 პირველი ექსპლუატაცია	15	11.6 ხარშვის ბლოკის გაწმენდა.....	26
6.3 ზოგადი მითითებები.....	16	11.7 მომსახურების პროგრამა	26
6.4 წყლის ფილტრი ¹	17		
7 მართვის საფუძვლები.....	18		
7.1 მოწყობილობის ჩართვა ან გამორთვა.....	18		
7.2 სასმელის ჩამოსხმა.....	18		

¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ

12 ხარვეზების აღმოფხვრა	29
13 ტრანსპორტირება, შენახვა და განკარგვა.....	35
13.1 ყინვისგან დაცვის გააქტიურება	35
13.2 ძველი დანადგარების განკარგვა.....	35
14 კლიენტთა მომსახურების სამსახური	36
14.1 ნაწარმის არტიკული (E- Nr) და ქარხნული ნომერი (FD).....	36
15 ტექნიკური მონაცემები.....	36



1 უსაფრთხოება

დაიცავით უსაფრთხოების ტექნიკის მითითებები.

1.1 ზოგადი მითითებები

- წაიკითხეთ ინსტრუქცია საფუძვლიანად.
- შეინახეთ ინსტრუქცია, ისევე როგორც პროდუქტის სხვა ინფორმაციები შემდგომი გამოყენებისათვის ან შემდგომი მეპატრონისათვის.
- ტრანსპორტირებისას მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში, ნუ ჩართავთ მას.

1.2 დანიშნულებისამებრივი გამოყენება

მოწყობილობა გამოიყენეთ მხოლოდ:

- ცხელი სასმელების მოსამზადებლად.
- კერძო საკუთრებაში მოსახმარებლად სახლის პირობებსა და დახურულ სივრცეებში.
- ზღვის დონიდან არა უმეტეს 2000 მ სიმაღლეზე.

1.3 გამოყენების სპექტრის შეზღუდვა

ამ მოწყობილობის გამოყენება ნებადართულია 8 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისათვის და ფიზიკურად, სენსორულად ან გონებრივად შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებისათვის ან ამოცდილებისა თუ ცოდნის არ მქონე პირთათვის, მეთვალყურეობის შემთხვევაში და/ან მოწყობილობის უსაფრთხო მოხმარების შესწავლის შემდეგ, თუ მათთვის გასაგებია არასწორ მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები.

ბავშების თამაში მოწყობილობასთან დაუშვებელია.

გაწმენდითი სამუშაოები, ისევე როგორც დანადგარის ტექნიკური მომსახურება დაუშვებელია განხორციელდეს ბავშვების მიერ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ასაკი არის 8 წელზე მეტი და იმყოფებიან მეთვალყურეობის ქვეშ.

მოარიდეთ 8 წლამდე ასაკის ბავშვები მოწყობილობას და მის გაყვანილობებს.

1.4 უსაფრთხოების მითითებები

⚠ გაფრთხილება – გაგუდვის საშიშროება!

ბავშვებმა შესაძლოა შესაფუთი მასალა თავზე ჩამოიცვან და შიგნით გაეხვიონ, რაც დახრჩობის საფრთხეს ქმნის.

- ▶ შესაფუთი მასალა ბავშვებს მოარიდეთ.
- ▶ არ მისცეთ ბავშვებს უფლება ითამაშონ შესაფუთი მასალებით.

ბავშვებს შეუძლიათ პატარა ნაწილები შეისუნთქონ ან გადაყლაპონ და ამით დაიხრჩონ.

- ▶ მოარიდეთ ბავშვებს პატარა ნაწილები.
- ▶ არ მისცეთ ბავშვებს უფლება პატარა ნაწილებით ითამაშონ.

⚠ გაფრთხილება – ელექტრული შოკის საშიშროება!

საშიშია არაკვალიფიცირებული ინსტალაცია.

- ▶ მოწყობილობის შეერთება და ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს ტიპის ნიშნულზე მოცემული მნიშვნელობების შესაბამისად.
- ▶ უსაფრთხოების ზომების დაცვით დაყენებულ შტეფსელში მოწყობილობა ცვლადი დენით უნდა შეერთდეს.
- ▶ სახლის ელექტრული მონტაჟების დამცავი სისტემა ჯეროვნად უნდა იყოს დაყენებული.

საფრხთის შემცველია დაზიანებული მოწყობილობა ან დაზიანებული ქსელის კაბელი.

- ▶ არასოდეს გამოიყენოთ დაზიანებული მოწყობილობა.
- ▶ არასოდეს გამოიყენოთ დანადგარი გაბზარული ან გატეხილი ზედაპირით.
- ▶ აკრძალულია ქსელის კაბელის მოქაჩვა, მოწყობილობის ელექტროქსელიდან გამოსართავად. გამოსწიეთ შტეფსელიდან ქსელის კაბელის ჩანგალი.
- ▶ მოწყობილობის ან ქსელის კაბელის დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოიღეთ ჩანგალი შტეფსელიდან და გამორთეთ დამცველი დამცველების ბლოკში.
- ▶ დაუკავშირდით კლიენტთა მომსახურებას. → გვერდი 36

არაკვალიფიცირებული შეკეთებისას მოწყობილობა შესაძლოა გახდეს საფრთხის წყარო.

- ▶ მოწყობილობის შეკეთება ნებადართულია მხოლოდ კვალიფიცირებული სპეციალისტისთვის.
- ▶ მოწყობილობის შეკეთებისთვის შეიძლება მხოლოდ ორიგინალური ნაწილების გამოყენება.
- ▶ იმ შემთხვევაში, თუკი დაზიანდება აპარატის დენტან მისაერთებელი სადენი, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ის უნდა შეიცვალოს მწარმოებლის ან მისი კლიენტთა მომსახურების ცენტრის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ.

სინოტივის შეჭრას, ელექტრო შოკის გამოწვევა შეუძლია.

- ▶ არასოდეს ჩადოთ წყალში დანადგარი ან ქსელის გაყვანილობა.
- ▶ დანადგარის შტეკერზე წყალი არ უნდა გადავიდეს.
- ▶ გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დახურულ შენობაში.
- ▶ არ გამოიყენოთ მოწყობილობები ძალიან მაღალი ტემპერატურის ან სინესტის დროს.
- ▶ დანადგარის საწმენდად არ გამოიყენოთ ორთქლით მწმენდავი ან მაღალი წნევით საწმენდი საშუალებები.

⚠ გაფრთხილება – ხანძრის საშიშროება!

დანადგარი ცხელდება

- ▶ მოახდინეთ დანადგარის საკმარისი ვენტილირება
- ▶ არასოდეს გამოიყენოთ დანადგარი კარადაში დადგმულ მდგომარეობაში

დმაგრძელებელი დენის კაბელის ან არანებადართული გადამყვანების (ადაპტერის) გამოყენება საშიშია.

- ▶ არ გამოიყენოთ დამაგრძელებელი კაბელები, ან მრავლობითი შტეფსელები.
- ▶ გამოიყენეთ მხოლოდ მწარმოებლის მიერ დაშვებული გადამყვანი (ადაპტერი) და ელექტრომოწოდების შნური.
- ▶ თუ ელექტრომიწოდების შნური ძალიან მოკლეა და არ გაქვთ უფრო გრძელი, დაუკავშირდით ელექტრიკოსს, რათა მოახდინოს სახლში მონტაჟის ადაპტირება.

⚠ გაფრთხილება – დამწვრობის საშიშროება!

დანადგარის ზოგიერთი ნაწილი ცხელდება

- ▶ არასოდეს შეეხოთ დანადგარის გაცხელებულ ნაწილებს
- ▶ გამოყენების შემდეგ დაელოდეთ დანადგარის ცხელი ნაწილების გაცივებას სანამ შეეხებით

⚠ გაფრთხილება – დამწვრობის საშიშროება!

ახლად მომზადებული სასმელი ძალიან ცხელია

- ▶ თუ საჭიროა დაელოდეთ სასმელის გაგრილებას
- ▶ მოერიდეთ გამომავალი სითხეების და ორთქლის ზემოქმედებას კანზე

⚠ გაფრთხილება – დაზიანების მიღების საშიშროება!

დანადგარის არასწორად ექსპლუატაციამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მომხმარებელს

- ▶ ტრავმების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენეთ დანადგარი მხოლოდ დანიშნულებისამებრ

თითების დაზიანება დანადგარის კარის დახურვის დროს

- ▶ დანადგარის კარის დახურვისას ყურადღება მიაქციეთ თითებს

საფქვავი ბრუნავს

- ▶ არასოდეს შეეხოთ საფქვავს

⚠ გაფრთხილება – საფრთხე: მაგნიტიზმი!

დანადგარი შეიცავს პერმანენტულ მაგნიტს. ამას, შეუძლია ისეთ ელექტრონულ იმპლანტანტებზე ზეგავლენის მოხდენა, როგორც არის კარდიოსტიმულატორი ან ინსულინის ტუმბო.

- ▶ ელექტრო იმპლანტების მქონე პირებს ეკრძალებათ მოწყობილობასთან 10 სანტიმეტრზე უფრო ახლო მიახლოება.

- ▶ ასევე დაიცავით მინიმალური მანძილი - 10 სმ მოხსნილ წყლის რეზერვუარამდე.

⚠ გაფრთხილება – ჯანმრთელობის დაზიანების საშიშროება!

დანადგარის დაბინძურებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თქვენს ჯანმრთელობას

- ▶ გაწმენდისთვის დაიცავით მითითებები

2 გარემოს დაცვა და ეკონომია

2.1 შეფუთვის გადაგდება

შესაფუთი მატერიალი ეკოლოგიურად უსაფრთხოა და შესაძლებელია განმეორებითი გამოყენება.

- ▶ თითოეული შემადგენელი ნაწილი დამოუკიდებლად განკარგეთ შესაბამისი ტიპის მიხედვით.

2.2 ენერჯის დაზოგვა

ამ მითითებების გამოყენების შემთხვევაში თქვენი დანადგარი ნაკლებ ენერჯიას გამოიყენებს.

ავტომატური გამორთვის ინტერვალი დააყენეთ უმცირეს ნიშნულზე

- ✓ თუ დანადგარი არ გამოიყენება, იგი მალევე თვითონ ითიშება → "ძირითადი პარამეტრები", გვერდი 22

სასმელის ჩამოსხმა დროზე ადრე არ გააჩეროთ

- ✓ გაცხელებული წყლისა და რძის რაოდენობა გამოიყენება ოპტიმალურად

რეგულარულად გაწმინდეთ დანადგარი ნადებისგან

- ✓ ნადები ზრდის ენერჯიის მოხმარებას

3 მონტაჟი და დაერთება

3.1 მოწოდების მოცულობა

განფუთვისას შეამოწმეთ ყველა ნაწილი ტრანსპორტირების დაზიანებაზე.

შენიშვნა: დანადგარის სხვადასხვა ტიპს შესაბამისი აქსესუარი მოყვება ეს აქსესუარი გამოირჩევა დამტრიხული ჩარჩოთი.

→ გამ. 1

A	სრულიად ავტომატური ყავის აპარატი
B	რძის ასაქაფებელი
C	გამოყენების ინსტრუქცია
D	გამწმენდი აბი ¹
E	ნადების მოსაშორებელი აბი ¹
F	წყლის ფილტრი ¹

¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ

3.2 დანადგარის მონტაჟი და შეერთება

ყურადღება!

- დანადგარის დაზიანების საშიშროება დანადგარის ექსპლუატაციაში არასწორად გამწვებამ შეიძლება დააზიანოს ის
- ▶ დანადგარი გამოიყენეთ მხოლოდ ყინვაგამძლე ოთახებში
 - ▶ თუ დანადგარი 0 °C ტრანსპორტირდება ან ინახება, 3 საათი დაელოდეთ ოთახის ტემპერატურას ექსპლუატაციისთვის
 - ▶ ყოველი ჩართვის წინ დაელოდეთ დაახლოებით 5 წამი ტემპერატურას

1. დანადგარი სწორ, საკმარისად მდგრად წყალგაუმტარ ზედაპირზე დადგით
2. დანადგარის დენის კვების კაბელი ჩართეთ სწორად დამონტაჟებულ როზეტში დამიწების კონტაქტით

4 გაცნობა

4.1 დანადგარი

აქ თქვენ იხილავთ თქვენი დანადგარის შემადგენელი ნაწილების მიმოხილვას.

შენიშვნა: დანადგარის ტიპის მიხედვით, შესაძლოა განსხვავდებოდეს ფერები და დეტალები


→ გამ. 2

- | | |
|---|--------------------------------|
| 1 | წყლის ავზი |
| 2 | წყლის კონტეინერის თავსახური |
| 3 | ჭიქის გამათბობელი ¹ |
| 4 | ეკრანი |

¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ

4.2 საკონტროლო პანელი

მართვის პანელის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ თქვენი მოწყობილობის ყველა ფუნქციის დაყენება და მუშაობის რეჟიმის შესახებ ინფორმაციის მიღება.

 დანადგარის ჩართვა ან გამორთვა

¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ


- | | |
|----|--|
| 5 | დაფქვის ხარისხის დასარეგულირებელი მბრუნავი სელექტორი |
| 6 | ჩართვა/გამორთვის ლილაკი |
| 7 | არომატის დამცავი თავსახური |
| 8 | მარცვლების კონტეინერი |
| 9 | საკონტროლო პანელი |
| 10 | რძის ასაქაფებელის დამჭერი |
| 11 | ხარშვის ბლოკი |
| 12 | ტიპის ნიშნული |
| 13 | რძის ასაქაფებელი |
| 14 | ჩამომსხმელი სისტემა |
| 15 | ხარშვის განყოფილების კარი |
| 16 | საწვეთური |
| 17 | ლანგარი წყლის წვეთებისთვის |
| 18 | გავსების დონის მაჩვენებელი, მექანიკური |
| 19 | წვეთოვანი ბადე |
| 20 | ყავის ნარჩენების კონტეინერი |



¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ

Espresso	ესპრესოს ჩამოსხმა
Coffee	<ul style="list-style-type: none"> ■ ყავის ჩამოსხმა ■ ეკრანის ნავიგაციაზე "◀" უკან გადასვლა შენახვის გარეშე

¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ

ka გაცნობა

Cappuccino	<ul style="list-style-type: none"> კაპუჩინოს ჩამოსხმა ეკრანის ნავიგაცია ▼ ქვევით
Latte Macchiato	<ul style="list-style-type: none"> ლათე მაკიატოს ჩამოსხმა ეკრანის ნავიგაციაზე "ok" დადასტურება და შენახვა
Milk	რძის აქაფება
	სიმძლავრე → "ყავის სიძლიერის რეგულაცია", გვერდი 19
¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ	

calc'n Clean	მომსახურების პროგრამის ჩართვა → გვერდი 26
	ერთდროულად 2 ჭიქა ესპრესოს ან ზედაპირზე ნალექით ყავის ჩამოსხმა → გვერდი 20
	ჭიქის გამათბობლის ჩართვა ან გამორთვა
¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ	

მაჩვენებელი

	ანათებს და ეკრანზე გამოსახულია შეტყობინება	<ul style="list-style-type: none"> წყლის ავზის გავსება წყლის ავზი აკლია წყლის ფილტრის გამოცვლა
	<ul style="list-style-type: none"> ანათებს ციმციმებს 	<ul style="list-style-type: none"> ლანგარის დაცლა ნარშვის განყოფილების კარის დაკეტვა
შუქდიოდები	<ul style="list-style-type: none"> ანათებენ პულსირებენ ციმციმებენ გამორთვა 	<ul style="list-style-type: none"> ექსპლუატაციისთვის მზად ჩამოსხმა მიმდინარეობს მომსახურების მოლოდინში, მაგალითად Calc'nClean-ის დროს მიუწვდომელია

4.3 ეკრანი

ეკრანზე ნაჩვენებია არჩეული სასმელები, პარამეტრები და მათი დაყენების შესაძლებლობები, ასევე შეტყობინებები მუშაობის მიმდინარე სტატუსის შესახებ. ეკრანზე ნაჩვენებია დამატებითი ინფორმაცია და ქმედებების ეტაპები. ინფორმაცია დაიმალება

მოკლე დროის შემდეგ ან ღილაკზე დაჭერით. ქმედებების ეტაპები დაიმალება, მას შემდეგ რაც ისინი შესრულდება.

შენიშვნა: თუ ეკრანს არ გააჩნია თქვენი ეროვნული ენა, აირჩიეთ ეკრანის ხელმისაწვდომი ენა მაგ.: ინგლისური.

5 აქსესუარი

გამოიყენეთ ორიგინალი აქსესუარები. ისინი ადაპტირებულია მოცემული მოწყობილობისთვის.

აქსესუარები	გამოყენება	კლიენტთა მომსახურების გუნდი
გამწმენდი აბები	TCZ8001A	00312096
ნადების მოსაშორებელი აბი	TCZ8002A	00312093
წყლის ფილტრი	TCZ7003	17000705
მიკროფიბრული ჩვარი	-	00460770
მოვლის ნაკრები	TCZ8004A	00312107

6

პირველ გამოყენებამდე

მოამზადეთ დანადგარი გამოყენებისათვის.

6.1 დანადგარის გამზადება და გაწმენდა

მოხსენით დამცავი გარსი და გარეცხეთ დანადგარი და მისი თითოეული ნაწილი მიჰყევით დასურათებულ მითითებებს ამ ინსტრუქციის დასაწყისში

ყურადღება!

არასწორად შერჩეულმა მარცვლებმა შეიძლება საფეხავი გაჭედოს

- ▶ გამოიყენეთ წმინდა, მოხალული ესპრესო ან მთლიანად ავტომატური დანადგარებისთვის განკუთვნილი მარცვლების ნარევები
- ▶ არ გამოიყენოთ მოჭიქური ყავის მარცვლები
- ▶ არ გამოიყენოთ კარამელიზირებული ყავის მარცვლები

- ▶ არ გამოიყენოთ ყავის მარცვლები, რომლებიც შეიცავს შაქრიან დანამატებს
- ▶ არ ჩაყაროთ დაფეხილი ყავა


→ გამ. **3** - **10**

შენიშვნა: გაავსეთ წყლის ავზი ყოველ დღე ანალი უგაზო ცივი წყლით

რჩევა: შეინახეთ ყავის მარცვლები ცივ და დახურულ ადგილას ხარისხის ოპტიმალური შენარჩუნებისთვის მარცვლების კონტეინერში შესაძლებელია ყავის მარცვლების მრავალი დღის განმავლობაში შენახვა, ისე რომ არომატი არ დაიკარგოს

6.2 პირველი ექსპლუატაცია

დენის წყაროსთან შეერთების შემდეგ დააყენეთ ენის არჩევის პარამეტრები ენის არჩევის პარამეტრები გამოსახულია მხოლოდ პირველი ჩართვისას

1. ჩართეთ დანადგარი ღილაკით 
- ✓ ეკრანზე გამოსახულია სტანდარტული ენა

ka პირველ გამოყენებამდე

2. ▼ ლილავს Cappuccino დააჭირეთ რამდენჯერმე, სანამ ეკრანზე სასურველი ენა არ გამოჩნდება
 3. პარამეტრები დასადასტურებლად "ok" დააჭირეთ Latte Macchiato ლილავს
- ✓ მიმდინარეობს დანადგარის რეცხვა როდესაც ეკრანზე გამომსახულია "Choose beverage" დანადგარი მზადაა ექსპლუატაციისთვის

რჩევა: თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეცვალოთ ენა → "ძირითადი პარამეტრები", გვერდი 22


6.3 ზოგადი მითითებები

მიჰყევით ინსტრუქციას თქვენი დანადგარის ოპტიმალური გამოყენებისთვის

შენიშვნები

- ოპტიმალური მუშაობისთვის დანადგარი დაპროგრამებულია ქარხნულად სტანდარტული პარამეტრებით
- საფქვავი ქარხნულად ყველაზე ოპტიმალურ მუშაობაზე დაყენებული თუ ყავა წვეთ-წვეთად ისხმება ან ზედაპირზე წარმოქმნილი ნალექი არასაკმარისია, შეგიძლიათ დაფქვის პარამეტრები დაარეგულიროთ → "დაფქვის ხარისხის დაყენება", გვერდი 21
- დანადგარის მუშაობის დროს სავენტილაციო ჭრილებში წყლის წვეთები წარმოიქმნება
- თუ თქვენ გარკვეული დროის განმავლობაში არ სარგებლობთ დანადგარით, ის ავტომატურად გაითიშება დროის ხანგრძლივობა შეგიძლიათ ძირითად პარამეტრებში შეცვალოთ

- ტექნიკური მიზეზების გამო შესაძლოა დანადგარიდან ორთქლი ამოვიდეს



- ლილავზე დაჭერისას გაისმება ხმოვანი სიგნალი სიგნალის გამორთვა შეგიძლიათ ძირითადი პარამეტრებიდან

რჩევა: სანამ დანადგარს გამოიყენებთ, შეამოწმეთ და აირჩიეთ წყლის სიხისტის ხარისხი

შენიშვნა

პირველად ჩამოსხმულ სასმელს არ აქვს სრულყოფილი არომატი, რადგან:

- პირველად იყენებთ დანადგარს
- თქვენ გაუშვით მომსახურების პროგრამა
- დანადგარი დიდი ხანია არ გამოიყენებიათ


არ დალიოთ სასმელი

რჩევა: დანადგარის ჩართვისას რამდენიმე ჰიქის მოდულების შემდგომ, თქვენ მიიღებთ მუდმივად ერთნაირი კონსისტენციის ყავის ზედაპირზე წარმოქმნილ ნალექს

6.4 წყლის ფილტრი¹

წყლის ფილტრის გამოყენებით თავიდან აირიდებთ ნადების წარმოქმნას და შეამცირებთ წყლის დაბინძურებას

წყლის ფილტრის ჩასმა და განახლება





როდესაც ჩასმული წყლის ფილტრის შეცვლა საჭირო, ეკრანზე გამოჩნდება 


ყურადღება!

ნადებისგან მიყენებული შესაძლო ზიანი

- ▶ დროულად გამოცვალეთ წყლის ფილტრი
- ▶ წყლის ფილტრი გამოცვალეთ არაუგვიანეს 2 თვე
- ▶ დააკვირდით შეტყობინებებს ეკრანზე

მოთხოვნა: დანადგარი ჩართულია

1.  და calc'n Clean ლილაკებს დააჭირეთ მინიმუმ 3 წამის განმავლობაში
 2.  ლილაკზე Cappuccino დააჭირეთ სანამ ეკრანზე არ გამოჩნდება "W. hardness"
 3. "ok" ლილაკით დაადასტურეთ Latte Macchiato
 4.  ლილაკზე Cappuccino დააჭირეთ სანამ ეკრანზე არ გამოჩნდება "Water filter"
 5. "ok" ლილაკით დაადასტურეთ Latte Macchiato
- ✓ ეკრანი აჩვენებს "Filter act."
6. ჩაალბეთ წყლის ფილტრი წყლიან ჭიქაში ხვრელით ზემოთ და გვერდებზე ოდნავ დააწეკით იქამდე, სანამ ჰაერის ბუშტუკები არ შეწყვეტს გამოსვლას
→ გამ. 

7. შეიტყვეთ წყლის სიხისტის ხარისხი წყლის ფილტრის არომატიზირებულ რგოლზე
– მყარად ჩასვით წყლის ფილტრი ცარიელ წყლის ავზში
→ გამ. 
- შეგიძლიათ წყლის სიხისტე მოიკითხოთ წყალმომარაგების ადგილობრივ ორგანიზაციაში
8. გაავსეთ ავზი წყლით "max" ნიშნულამდე.
9. ჩასვით წყლის ავზი დანადგარში
10. მინიმუმ 1 ლ მოცულობის კონტეინერი დადგით ჩამომსხმელი ხვრელის ქვეშ
11. პარამეტრის შესანახად და რეცხვის დასაწყებად "ok" დააჭირეთ Latte Macchiato ლილაკს
✓ წყალი გადის ფილტრში
12. მენიუდან გამოსასვლელად "<" დააჭირეთ Coffee ლილაკს
13. დაცალეთ კონტეინერი
✓ დანადგარი მზადაა ექსპლუატაციისათვის

წყლის ფილტრის მოხსნა

დანადგარის გამოყენება წყლის ფილტრის გარეშე შეგიძლიათ

1. მოხსენით წყლის ფილტრი
2. წყლის სიხისტის ხარისხის დაყენება
→ "ძირითადი პარამეტრები", გვერდი 22

რჩევები

- წყლის ფილტრი ჰიგიენური მიზეზებიდან გამომდინარე უნდა გამოცვალოთ
- წყლის ფილტრის მოხმარებისას დანადგარი იშვიათად იკეთებს ნადებს
- როდესაც წყლის ფილტრს იყენებთ, ყავა უფრო გემრიელი გამოდის


¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ

ka საფუძვლები

- წყლის ფილტრი შეგიძლიათ შეიძინოთ თავად ან კლიენტთა მომსახურების ცენტრში
→ "აქსესუარი", გვერდი 15

7 მართვის საფუძვლები

7.1 მოწყობილობის ჩართვა ან გამორთვა


- ▶ დააჭირეთ 
ჩართვა-გამორთვის დროს დანადგარი ავტომატურად ირეცნება გამორთულ დანადგარში წყალი ორთქლდება საწვეთურიდან თუ ჩართული დანადგარი ცხელია ან სასმელი არ ჩამოისხა მის გამორთვამდე, დანადგარი არ გაირეცნება

7.2 სასმელის ჩამოსხმა

გაიგეთ როგორ დაამზადოთ სასურველი სასმელი

- ⚠ **გაფრთხილება დამწვრობის საშიშროება!**
ახლად მომზადებული სასმელი ძალიან ცხელია
 - ▶ თუ საჭიროა დაელოდეთ სასმელის გაგრილებას
 - ▶ მოერიდეთ გამომავალი სითხეების და ორთქლის ზემოქმედებას კანზე

7.3 ყავის მომზადება ახალი მარცვლებით

1. დადგით ჭიქა ჩამომსხმელი სისტემის ქვეშ
2. ყავის სიძლიერის დასაყენებლად რამდენჯერმე მიყოლებით დააჭირეთ  ლილაკს

3. დააჭირეთ ლილაკს Espresso ან Coffee

- ✓ ყავა მოიხარშება და შემდეგ ჩამოისხმება ჭიქაში

რჩევა: ჩამოსხმის დასრულებამდე კონკრეტული ნაბიჯის შესაჩერებლად დააჭირეთ ლილაკს Espresso ან Coffee

7.4 რძიანი სასმელის ჩამოსხმა

შეგიძლიათ მოამზადოთ ყავა რძით ან რძის ქაფით

- ⚠ **გაფრთხილება დამწვრობის საშიშროება!**
რძის ასაქაფებელი ძალიან ცხელია
 - ▶ გააგრილეთ რძის ასაქაფებელი სანამ შეეხებით

ყურადღება!

რძის ნარჩენები შეიძლება გამოშრეს და ძნელად მოსაშორებელი გახდეს

- ▶ გარეცხეთ რძის ასაქაფებელი ყოველი გამოყენების შემდეგ

რჩევები

- შეგიძლიათ ასევე მცენარეული სასმელები გამოიყენოთ, მაგალითად სოიო
- რძის ქაფის ხარისხი დამოკიდებულია გამოყენებული რძის ან მცენარეული სასმელის სახეობაზე

7.5 რძიანი ყავის მომზადება

შეგიძლიათ აირჩიოთ კაპუჩინო ან ლატე მაკიატო

1. დიდი ფინჯანი ან ჭიქა დაახლოებით 100 მლ რძით გაავსეთ კაპუჩინოსთვის, ან დაახლოებით 150 მლ რძით ლატე მაკიატოსთვის.
2. დადგით ჭიქა ან ფინჯანი ჩამომსხმელი სისტემის ქვეშ

3. ჩამოსხმელი სისტემა და რძის ასაქაფებელი ჩაწიეთ ქვევით ბოლომდე
 4. ყავის სიძლიერის დასაყენებლად რამდენჯერმე მიყოლებით დააჭირეთ 0 ლილაკს
 5. დააჭირეთ ლილაკს Cappuccino ან Latte Macchiato
- ✓ პირველ რიგში საჭიროა ჭიქაში ან ფინჯანში რძის აქაფება შემდეგ იხარშება ყავა და იხსნება ჭიქაში ან ფინჯანში

რჩევა: ჩამოსხმის დასრულებამდე კონკრეტული ნაბიჯის შესაჩერებლად დააჭირეთ ლილაკს Cappuccino ან Latte Macchiato

7.6 რძის აქაფება

1. ჩაასხით ჭიქაში ან ფინჯანში დაახლოებით 100 მლ რძე
 2. დადგით ჭიქა ან ფინჯანი ჩამოსხმელი სისტემის ქვეშ
 3. ჩამოსხმელი სისტემა და რძის ასაქაფებელი ჩაწიეთ ქვევით ბოლომდე
 4. დააჭირეთ ლილაკს Milk
- ✓ რძე აქაფდება

შენიშვნა: ჩამოსხმის ნაადრევად შესაჩერებლად დააჭირეთ Milk ლილაკს

7.7 სასმელის პარამეტრები

მოამზადეთ სასმელი თქვენი გემოვნებით

ყავის სიძლიერის რეგულაცია

სანამ სასმელს ჩამოასხამთ შეგიძლიათ ყავის სიძლიერე დაარეგულიროთ

- ▶ ყავის სიძლიერის დასარეგულირებლად რამდენჯერმე მიყოლებით დააჭირეთ 0 ლილაკს

0	ძალიან მსუბუქი
00	მსუბუქი
000	ნორმალური
0000	ძლიერი
00000	ძალიან ძლიერი
000000	არომატის ინტენსიურობა ¹

¹ მოდელის შესაბამისად

შენიშვნა: დაყენებული ყავის სიძლიერე გააქტიურდება ყველა სასმელისთვის

მოცულობის რაოდენობის რეგულირება

შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი სასმელის მოცულობის რაოდენობა

1. დადგით ჭიქა ჩამოსხმელი სისტემის ქვეშ
 2. დააჭირეთ ლილაკს Espresso ან Coffee 3 წამის განმავლობაში
- ✓ ჩამოსხმა მიმდინარეობს, არჩეული ლილაკი ციმციმებს
- ✓ ეკრანზე გამოასახულია პროცესი → გამ. **11**
3. თუ სასურველი მოცულობის რაოდენობა მიღწეულია, დააჭირეთ პროცესის შესაჩერებლად არჩეულ ლილაკს

შენიშვნები

- არჩეული მოცულობის რაოდენობა შეინახება შემდეგი სასმელის ჩამოსხმისთვისაც
- შეგიძლიათ დააყენოთ ესპრესოს მოცულობის რაოდენობა 25-60 მლ-მდე, ყავის კი 80-200 მლ-მდე
- დანადგარი ხარშავს ესპრესოს ყოველთვის დაახლოებით 25 მლ რაოდენობას, ხოლო ყავას დაახლოებით 80 მლ-ს.

ka საფუძვლები

რჩევა: შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეცვალოთ პარამეტრები
→ "ძირითადი პარამეტრები",
გვერდი 22

აქაფების ხანგრძლივობის რეგულირება

შეგიძლიათ შეცვალოთ აქაფების ხანგრძლივობა თქვენს სასმელში

1. დიდი ფინჯანი ან ჭიქა დაახლოებით 100 მლ რძით გაავსეთ კაპუჩინოსთვის, ან დაახლოებით 150 მლ რძით ლატე მაკიატოსთვის.
2. დადგით ჭიქა ან ფინჯანი ჩამომსხმელი სისტემის ქვეშ
3. ჩამომსხმელი სისტემა და რძის ასაქაფებელი ჩაწიეთ ქვევით ბოლომდე
4. დააჭირეთ ლილაკს Cappuccino, Latte Macchiato ან Milk 3 წამის განმავლობაში
 - ✓ რძე აქაფდება და არჩეული ლილაკი ციმციმებს
 - ✓ ეკრანზე გამოასახულია პროცესი → გამ. **11**
5. თუ სასურველი აქაფების ხანგრძლივობა მიღწეულია, დააჭირეთ პროცესის შესაჩერებლად არჩეულ ლილაკს

შენიშვნები

- შეგიძლიათ სასმელიდან გამომდინარე აქაფების სხვადასხვა ხანგრძლივობა დაარეგულიროთ
- აქაფების ხანგრძლივობის დარეგულირება არ ახდენს გავლენას სასმელის შევსების რაოდენობაზე

რჩევა: შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეცვალოთ პარამეტრები
→ "ძირითადი პარამეტრები",
გვერდი 22

ორი ჭიქის ერთდროულად მომზადება

იმის მიხედვით თუ რომელ სასმელს ამზადებთ, შეგიძლიათ ერთდროულად 2 ჭიქა ჩამოასხათ

1. დააჭირეთ ლილაკს ☐
- ✓ ეკრანი 5 წამის განმავლობაში აჩვენებს "Double cup on"
2. დადგით ორი ჭიქა მარცხენივ და მარჯვნივ ჩამომსხმელი ხვეულის ქვეშ
3. დააჭირეთ ლილაკს Espresso ან Coffee
 - ✓ ლილაკის შუქდიოდი ციმციმებს
 - ✓ სასმელი მზადდება 2 ეტაპად მარცვლები იფქვება 2 დაფქვის პროცესით
 - ✓ სასმელი იხარშება და იხსნება ჭიქაში
4. დაელოდეთ პროცესის დასრულებას
5. ორი ჭიქის ერთდროულად მომზადების ფუნქციის გამოსართავად დააჭირეთ ☐ ლილაკს

შენიშვნები

- შეგიძლიათ ორი ჭიქის ერთდროულად მომზადების ფუნქცია მხოლოდ Espresso ან Coffee მომზადებისას გამოიყენოთ
- როდესაც ორი ჭიქის ერთდროულად მომზადების ფუნქცია გაქვთ ჩართული, სხვა სასმელს ვერ ჩამოასხამთ.
- თუ 90 წამის განმავლობაში არც ერთ ლილაკს არ დააჭერთ, დანადგარი ავტომატურად პარამეტრებში დაბრუნდება "Double cup off"

8 საფქვავი

თქვენს დანადგარს გააჩნია ინტეგრირებული საფქვავი, რომლითაც შეგიძლიათ დაფქვის ხარისხი დაარეგულიროთ

8.1 დაფქვის ხარისხის დაყენება

ყავის მარცვლების დაფქვისას დააყენეთ თქვენთვის სასურველი დაფქვის ხარისხი

⚠ გაფრთხილება დაზიანების მიღების საშიშროება!
საფქვავი ბრუნავს
▶ არასოდეს შეეხოთ საფქვავს

ყურადღება!
საფქვავის დაზიანების საშიშროება დაფქვის ხარისხის არასწორი დაყენებისას შესაძლებელია საფქვავი დაზიანდეს
▶ დაფქვის ხარისხი დააყენეთ მხოლოდ მუშა საფქვავზე
▶ დააყენეთ დაფქვის ხარისხი მბრუნავი სელექტორის ეტაპობრივად გადატრიალების მეშვეობით

დაფქვის ხარისხი	პარამეტრი
წმინდა დაფქვის ხარისხი	მბრუნავი სელექტორი საათის ისრის მსუბუქად მოხალული მარცვლების თვის
	

დაფქვის ხარისხი	პარამეტრი
მსხვილი დაფქვის ხარისხი მუქად მოხალული მარცვლების თვის	მბრუნავი სელექტორი საათის ისრის მიმართულებით მოაბრუნეთ
	

სარეგულირებელი დაფქვის ხარისხი ძალაში შედის მეორე ჭიქის მომზადების შემდეგ

რჩევა: როდესაც ყავა წვეთ-წვეთად მოდის, დაფქვის ხარისხი დააყენეთ მსხვილზე როდესაც ყავა წყალწყალაა ან მცირე ნალექი აქვს ზედაპირზე, დაფქვის ხარისხი დააყენეთ წმინდაზე

9 ჭიქის გამათბობელი¹

შეგიძლიათ თქვენი ჭიქა გაათბოთ ჭიქის გამათბობელით


9.1 ჭიქის გამათბობელის აქტივაცია და დეაქტივაცია¹

⚠ გაფრთხილება დამწვრობის საშიშროება!
ჭიქის გამათბობელი¹ ძალიან ცხელია
▶ არასოდეს შეეხოთ ხელით ჭიქის გამათბობელს¹
▶ გააგრილეთ ჭიქის გამათბობელი სანამ ხელით შეეხებით

რჩევა: ჭიქების ოპტიმალური გათბობისთვის დადგით ისინი ფსკერით ჭიქის გამათბობელზე¹

¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ


ka ძირითადი პარამეტრები

- ▶ ჭიქის გამათბობელის¹ აქტივაციის ან დეაქტივაციისთვის დააჭირეთ  ლილავს

10 ძირითადი პარამეტრები

თქვენ შეგიძლიათ შეიყვანოთ მოწყობილობის ძირითადი პარამეტრები თქვენი მოთხოვნების შესაბამისად და ჩართოთ დამატებითი ფუნქციები.

10.1 ძირითადი პარამეტრების შეცვლა

1.  და calc'n Clean ლილაკებს დააჭირეთ მინიმუმ 3 წამის განმავლობაში

2. ▼ ლილავს Cappuccino დააჭირეთ რამდენჯერმე იქამდე, სანამ ეკრანზე სასურველი პარამეტრი არ გამოჩნდება
3. "ok" ლილაკით დაადასტუროთ Latte Macchiato
4. პარამეტრის შესაცვლელად დააჭირეთ ▼ ლილავს Cappuccino
5. "ok" ლილაკით დაადასტუროთ Latte Macchiato
- ✓ ეკრანი აჩვენებს "Settings saved".
6. მენიუდან გამოსასვლელად "<" დააჭირეთ Coffee ლილავს

შენიშვნა: თუ 90 წამის განმავლობაში არც ერთ ლილავს არ შეეხებით დანადგარი დაუმახსოვრებლად გადავა სასმელის არჩევის პარამეტრზე

რჩევა: შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეცვალოთ პარამეტრები → "ძირითადი პარამეტრები", გვერდი 22

10.2 საბაზისო პარამეტრების მიმოხილვა

აქ მოყვანილია დანადგარის ძირითადი პარამეტრების მიმოხილვა

პარამეტრი	არჩევა	აღწერილობა
Language	არჩევა შეგიძლიათ დანადგარზე	დააყენეთ მენიუს ენა ცვლილებები დაუყოვნებლივ გამოჩნდება ეკრანზე
Factory reset	აირჩიეთ სასურველი ენა	ქარხნულ პარამეტრებამდე დაბრუნება შენიშვნა: დანადგარი გაირეცხება და წაიშლება ყველა ინდივიდუალური პარამეტრი

¹ დანადგარის აღჭურვილობისამებრ

პარამეტრი	არჩევა	აღწერილობა
W. hardness	<ul style="list-style-type: none"> ■ "W. hardness" 1, 2, 3, 4 ■ Water filter ■ H2O-Softener 	<p>დანადგარი დაარეგულირეთ ადგილობრივი წყლის სინისტის ხარისხის მიხედვით</p> <p>რჩევა: მოიკითხეთ წყლის სინისტის ხარისხი წყალმომარაგების ადგილობრივ ორგანიზაციაში</p> <p>შენიშვნა: თუ სახლში დამონტაჟებულია წყლის დამარბილებელი მოწყობილობა, დაარეგულირეთ "H2O-Softener"</p>
Auto Stand-by	არჩევა შეგიძლიათ დანადგარზე	დააყენეთ დრო, რომლის შემდეგაც მოწყობილობა ავტომატურად გამოირთვება ბოლო სასმელის მომზადების შემდეგ
Sound	<ul style="list-style-type: none"> ■ Sound on ■ Sound off 	სიგნალის ჩართვა ან გამორთვა

11 წმენდა და მოვლა

იმისათვის, რომ თქვენმა მოწყობილობამ ხანგრძლივად და სრული ფუნქციონალით შეძლოს მუშაობა, წმენდა და მოვლა აუცილებელია.

11.1 შესაძლებელია გაირეცხოს ჭურჭლის სარეცხ მანქანაში

აქ თქვენ იპოვით კომპონენტების ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლებელია გაირეცხოს ჭურჭლის სარეცხ მანქანაში

ყურადღება!

ზოგიერთი კომპონენტი მგრძობიარეა ტემპერატურის მიმართ და შეიძლება დაზიანდეს ჭურჭლის სარეცხ მანქანაში გარეცხვისას

- ▶ დაიცავით ჭურჭლის სარეცხი მანქანის გამოყენების ინსტრუქცია

- ▶ გარეცხეთ ჭურჭლის სარეცხ მანქანაში მხოლოდ შესაბამისი კომპონენტები
- ▶ გამოიყენეთ მხოლოდ ის პროგრამები, რომლებიც არ გამოიწვევს კომპონენტების გადახურებას 60 °C

განკუთვნილია

- ლანგარი წყლის წვეთებისთვის
- წვეთოვანი ბადე
- ყავის ნარჩენების კონტეინერი
- მექანიკური გავსების დონის მაჩვენებელი
- რძის ასაქაფებელი

არ არის განკუთვნილი:

- წყლის ავზი
- წყლის ავზის სახურავის
- არომატის დამცავი თავსახური
- ხარშვის ბლოკი
- საწვეთური

11.2 საწმენდი საშუალება

გამოიყენეთ მხოლოდ შესაბამისი საწმენდი საშუალებები.

ყურადღება!


შეუსაბამო საწმენდ საშუალებებს შეუძლია დანადგარის ზედაპირის დაზიანება გამოიწვიოს.

- ▶ ნუ გამოიყენებთ ბასრ ან აქაფებად საწმენდ საშუალებებს.
- ▶ ნუ გამოიყენებთ ძლიერ ალკოჰოლოურ ან სპირტიან გამწმენდ საშუალებებს
- ▶ ნუ გამოიყენებთ მყარ სახეხებს ან ღრუბლებს.

შეუსაბამო საწმენდმა და ნადების მოსაშორებელმა საშუალებებმა შესაძლოა დანადგარი დააზიანონ

- ▶ ნადების მოსაშორებლად არ გამოიყენოთ სუფთა ლიმონის მჟავა, ძმარი ან ძმრის შემცველი საშუალება
- ▶ არ გამოიყენოთ ნადების მოსაშორებელი საშუალება, რომელიც შეიცავს ფოსფორის მჟავას
- ▶ გამოიყენეთ მხოლოდ ის ნადების მოსაშორებელი და გამწმენდი აბები, რომლებიც

შემოშავებულია სპეციალურად შესაბამისი დანადგარისთვის → "აქსესუარი", გვერდი 15



რჩევები

- ზედმიწევნით გარეცხეთ ღრუბლის საწმენდი ტილოები რომ მთლიანად მოშორდეს ზედ დაგროვილი მარილები. მარილებმა შეიძლება დააჟანგოს უჟანგავი ფოლადის ზედაპირები.
- კოროზიის თავიდან ასაცილებლად, ყოველთვის დაუყოვნებლივ მოაშორეთ ნალექის, ყავის, რძის, საწმენდი და ნალექის საწინააღმდეგო საშუალებების ნარჩენები.

11.3 დანადგარის გაწმენდა

⚠ გაფრთხილება

ელექტროული შოკის საშიშროება!
მოწყობილობაში შესული სინესტე შესაძლოა დენის დარტყმის მიზეზი გახდეს.

- ▶ არასოდეს ჩადოთ წყალში დანადგარი ან ქსელის გაყვანილობა.
- ▶ დანადგარის შტექერზე წყალი არ უნდა გადავიდეს.
- ▶ დანადგარის საწმენდად არ გამოიყენოთ ორთქლით მწმენდავი ან მაღალი წნევით საწმენდი საშუალებები.

⚠ გაფრთხილება

დამწვრობის საშიშროება!
დანადგარის ზოგიერთი ნაწილი ცხელდება

- ▶ არასოდეს შეეხოთ დანადგარის გაცხელებულ ნაწილებს
- ▶ გამოყენების შემდეგ დაელოდეთ დანადგარის ცხელი ნაწილების გაცივებას სანამ შეეხებით

1. გამოაერთეთ დანადგარი დენის წყაროდან
2. გაწმინდეთ კორპუსი, პრიალა ზედაპირები და მართვის პანელი თანდართული მიკროფიბრის ხელსახოცით
3. სასმელის მომზადების დასრულების შემდეგ გაწმინდეთ ჩამომსხმელი სისტემა რბილი ნამიანი ტილოთი
4. წყლის ავზი სუფთა წყლით გარეცხეთ
5. თუ დანადგარი დიდი ხანია არ გამოგიყენებიათ, მაგალითად შვებულების დროს სახლში არ ყოფნის შემთხვევაში, გაწმინდეთ მთლიანად, მათ შორის მისი მოძრავი ნაწილებიც, როგორებიცაა ხარშვის ბლოკი და წყლის ავზი.

შენიშვნა: დანადგარი ავტომატურ რეჟიმში დასუფთავებას იწყებს როდესაც მას ცივ მგდომარეობაში რთავთ, ან როდესაც ყავის მომზადების შემდეგ გამორთავთ. სისტემა თავისთავად იწმინდება.

11.4 საწვეთურისა და ყავის ნარჩენების კონტინერის გასუფთავება

ყოველდღიურად გაწმინდეთ და დაცალეთ საწვეთური და ყავის ნალექის კონტინერი, რათა თავიდან ავიცილოთ მათი გადავსება მიჰყევით დასურათებულ ინსტრუქციას დასაწყისში

→ გამ. **12** - **16**

11.5 რძის ასაქაფებელის გარეცხვა

ნარჩენების მოსაშორებლად და ფუნქციის შესანარჩუნებლად გარეცხეთ რძის ასაქაფებელი ყოველი მოხმარების შემდეგ

⚠ გაფრთხილება

დამწვრობის საშიშროება!
რძის ასაქაფებელი ძალიან ცხელია

- ▶ გააგრილეთ რძის ასაქაფებელი სანამ შეეხებით

1. ჭიქა ნახევრად გაავსეთ წყლით და დადგით ჩამომსხმელი სისტემის ქვეშ
2. ჩაწიეთ რძის ასაქაფებელი ქვემოთ ბოლომდე
3. დააჭირეთ ლილაკს Milk
- ✓ რძის სისტემა ირეცხება
4. აწიეთ ზემოთ რძის ასაქაფებელი და აცადეთ გაგრილება
5. მოხსენით რძის ასაქაფებელი და კარგად კარეცხეთ

ka წმენდა და მოვლა

6. რძის ასაქაფებელი დააბრუნეთ თავის ადგილზე

შენიშვნა: პროცესის ნაადრევად შესაჩერებლად დააჭირეთ Milk ღილაკს

რჩევა: შეგიძლიათ რძის ასაქაფებელი გარეცხოთ ჭურჭლის სარეცხ მანქანაში რძის ასაქაფებელს გარეცხვის შემდეგ საფუძვლიანად მოაშორეთ ნარჩენები

11.6 ხარშვის ბლოკის გაწმენდა

ავტომატურ წმენდასთან ერთად, რეგულარულად ამოიღეთ და საფუძვლიანად გაწმინდეთ ხარშვის ბლოკი მიჰყევით დასურათებულ ინსტრუქციას დასაწყისში

⚠ გაფრთხილება დამწვრობის საშიშროება!
დანადგარის ზოგიერთი ნაწილი ცხელდება

- ▶ არასოდეს შეეხოთ დანადგარის გაცხელებულ ნაწილებს
- ▶ გამოყენების შემდეგ დაელოდეთ დანადგარის ცხელი ნაწილების გაცივებას სანამ შეეხებით

ყურადღება!
არასწორი დასუფთავების შეთხვევაში ხარშვის ბლოკი შეიძლება დაზიანდეს

- ▶ არ გამოიყენოთ სარეცხი საშუალება
- ▶ არ გამოიყენოთ ძმრის და მჟავის შემცველი სარეცხი საშუალება
- ▶ არ გარეცხოთ ჭურჭლის სარეცხ მანქანაში

→ გამ. 17 - 26

შენიშვნა: კარის დაკეტვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუკი ხარშვის ბლოკი და საწვეთური სწორადაა ჩასმული

11.7 მომსახურების პროგრამა

წყლის სიხისტის და დანადგარის გამოყენების შესაბამისად ინიტება calc'n Clean ღილაკი და ეკრანი აჩვენებს "Calc'nClean required!" გარეცხეთ და გაასუფთავეთ დანადგარი ნადებისგან პროგრამის საშუალებით

ყურადღება!
არასწორად ან უდროოდ რეცხვამ და ნადების მოშორებამ შეიძლება დანადგარის დაზიანება გამოიწვიოს

- ▶ სასწრაფოდ გაუშვით Calc'nClean ინსტრუქციის შესაბამისად
- ▶ ხარშვის ბლოკის სათავსოში მხოლოდ გამწმენდი აბები ჩაყარეთ
- ▶ არ ჩაყაროთ ნადების მოსაშორებელი აბები ან სხვა საშალებები ხარშვის ბლოკის სათავსო განყოფილებაში

შენიშვნები


- თუ დანადგარს არასწორად გარეცხავთ და მოაშორებთ ნადებს დანადგარი იბლოკება და ეკრანზე გამოისახება "Device locked"
- დანადგარის განბლოკვისთვის გაუშვით მომსახურების პროგრამა

რჩევა: სანამ მომსახურების პროგრამას ჩართავთ მოხსენით ხარშვის ბლოკი, გარეცხეთ და უკან დაამაგრეთ გარეცხეთ რძის ასაქაფებელი

Calc'nClean ჩართეთ

პროცესი გრძელდება დაახლოებით 40 წუთი

1. დააჭირეთ calc'n Clean ღილაკს მინიმუმ 5 წამის განმავლობაში
- ✓ შუქდიოდის სიმბოლო ანათებს
2. გააღეთ კარი
3. ამოიღეთ და დაცალეთ საწვეთური და ყავის ნარჩენების კონტეინერი
4. ხარშვის ბლოკის მოხსნა და გაწმენდა
5. გამწმენდი აბი ჩააგდეთ ხარშვის ბლოკის სათავსოში და ჩასვით ისევ უკან



6. საწვეთური და ყავის ნარჩენების კონტეინერი ისევ მიამაგრეთ და დაკეტეთ კარი
- ✓ შუქდიოდის სიმბოლო ანათებს
7. ასეთის არსებობის შემთხვევაში მოხსენით წყლის ფილტრი
8. გაავსეთ ცარიელი წყლის ავზი ნელთბილი წყლით 0,5 ლ ნიშნულამდე და გახსენით წყალში ნადების მოსაშორებელი სიმენსის აბი
9. ჩასვით წყლის ავზი თავის ადგილას და დაახლოებით 1 ლ მოცულობის კონტეინერი დადგით ჩამომსხმელი სისტემის ქვეშ
10. როცა calc'n Clean ციმციმებს დააჭირეთ calc'n Clean ღილაკს
- ✓ პროგრამა ირთვება, რეცხავს დანადგარს და აშორებს ნადებს

- ✓ calc'n Clean ჰულისირებს
 - ✓ პროცესი დაახლოებით 20 წუთი წუთი გრძელდება
 - ✓ შუქდიოდის სიმბოლო ანათებს
11. დაცალეთ კონტეინერი და გააღეთ კარი
 12. დაცალეთ საწვეთური და ისევ უკან ჩასვით
 13. დაკეტეთ კარი და კონტეინერი ისევ ჩამომსხმელი სისტემის ქვეშ დადგით
 - ✓ შუქდიოდის სიმბოლო ანათებს
 14. წყლის ავზის გაწმენდა
თუ წყლის ფილტრი ამოღებული გაქვთ, ჩასვით ისევ უკან
 15. შავსეთ წყლის ავზი სუფთა ცივი უგაზო წყლით "max" ნიშნულამდე
 16. როცა calc'n Clean ციმციმებს დააჭირეთ calc'n Clean ღილაკს
 - ✓ პროგრამა ირთვება და დანადგარს რეცხავს და ავლებს
 - ✓ calc'n Clean ჰულისირებს
 - ✓ შუქდიოდის სიმბოლო ანათებს
 17. ამოიღეთ და დაცალეთ საწვეთური და ყავის ნარჩენების კონტეინერი
 18. გარეცხეთ საწვეთური და ყავის ნარჩენების კონტეინერი და მიამაგრეთ ისევ დანადგარზე
 - ✓ პროგრამა დასრულებულია და დანადგარი მზად არის შემდგომი ექსპლუატაციისათვის

მომსახურების პროგრამის განულება

თუ მომსახურების პროგრამა შეწყდება მაგალითად დენის შეფერხებით მიწოდებისას, ინთება calc'n Clean და სიმბოლო

1. წყლის ავზის გაწმენდა
თუ წყლის ფილტრი ამოღებული გაქვთ, ჩასვით ისევ უკან

ka წმენდა და მოვლა

2. შეავსეთ წყლის ავზი სუფთა ცივი უგაზო წყლით "max" ნიშნულამდე
3. დააჭირეთ ღილაკს calc'n Clean
 - ✓ მომსახურების პროგრამა ირთვება და რეცხავს დანადგარს პროცესი დაახლოებით 2 წუთი გრძელდება
4. საწვეთური დაცალეთ, გარეცხეთ და ისევ უკან ჩასვით
5. დაკეტეთ კარი
 - ✓ პროგრამა დასრულებულია და დანადგარი მზად არის შემდგომი ექსპლუატაციისათვის

12 ხარვეზების აღმოფხვრა

თქვენს მოწყობილობაზე პატარა ხარვეზების აღმოფხვრას დამოუკიდებლად შეძლებთ. გამოიყენეთ ხარვეზის აღმოფხვრის შესაბამისი სასარგებლო ინფორმაცია, სანამ კლიენტთა მომსახურების სამსახურს დაუკავშირდებით. ამგვარად დაზოგავთ არასაჭირო ხარჯებს.



გაფრთხილება

ელექტრული შოკის საშიშროება!

არაკვალიფიცირებული შეკეთებისას მოწყობილობა შესაძლოა გახდეს საფრთხის წყარო.

- ▶ მოწყობილობის შეკეთება ნებადართულია მხოლოდ კვალიფიცირებული სპეციალისტისთვის.
- ▶ მოწყობილობის შეკეთებისთვის შეიძლება მხოლოდ ორიგინალური ნაწილების გამოყენება.
- ▶ იმ შემთხვევაში, თუკი დაზიანდება აპარატის დენთან მისაერთებელი სადენი, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ის უნდა შეიცვალოს მწარმოებლის ან მისი კლიენტთა მომსახურების ცენტრის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ.


გაუმართაობა	მიზეზი და გაუმართაობის აღმოფხვრა
დანადგარი აღარ რეაგირებს	<p>დანადგარი გაუმართავია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გამოწიეთ ქსელის შტეკერი და დაელოდეთ - 60 წამი 2. შეაერთეთ ქსელის შტეკერი
დანადგარი მხოლოდ წყალს ასხამს, ყავას არა	<p>დანადგარი ვერ აღიქვამს მარცვლებისთვის განკუთვნილ ცარიელ კონტეინერს</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ ჩაყარეთ ყავის მარცვლები <p>ზედმეტად ცხიმიანი ყავის მარცვლები არ იყრება საფქვავში</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ ფრთხილად დააკაკუნეთ ყავის მარცვლების კონტეინერზე ▶ შეცვალეთ ყავის სახეობა ▶ არ გამოიყენოთ ცხიმიანი მარცვლები ▶ გაწმინდეთ მარცვლების ცარიელი კონტეინერი კარგად გაწურული ტილოთი <p>ხარშვის ბლოკი არ არის სწორად ჩასმული</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ ჩასვით ხარშვის ბლოკი უკან ბოლომდე
ყავის ან რძის ქაფის ხარისხის ცვალებადობა	<p>დანადგარში ნადებია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გაასუფთავეთ დანადგარი ნადებისგან.

გაუმართაობა	მიზეზი და გაუმართაობის აღმოფხვრა
<p>ყავა მხოლოდ წვეთებით ან საერთოდ არ ისხმება შევსების განსაზღვრული რაოდენობა არ არის მიღწეული</p>	<p>საფქვავი ზედმეტად წმინდა დაფქვაზეა დაყენებული</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ დააყენეთ საფქვავი უფრო მსხვილ დაფქვაზე → "დაფქვის ხარისხის დაყენება", გვერდი 21 <hr/> <p>დანადგარი სავსეა წარმოქმნილი ნადებით.</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გაასუფთავეთ დანადგარი ნადებისგან. <hr/> <p>წყლის ფილტრში ჰაერია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჩაალბეთ წყლის ფილტრი წყალში ხვრელით ზემოთ იქამდე სანამ ჰაერის ბუშტუკები არ შეწყვეტს გამოსვლას. 2. ჩაამაგრეთ ფილტრი თავის ადგილას. <hr/> <p>დანადგარი დაბინძურებულია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გაწმინდეთ ხარშვის ბლოკი ▶ გაასუფთავეთ დანადგარი ნადებისგან და გაწმინდეთ. <hr/> <p>ნადების საწინააღმდეგო საშუალებების ნარჩენები იჭედება წყლის ავზში</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ამოიღეთ წყლის ავზი 2. საფუძვლიანად გარეცხეთ წყლის ავზი <hr/> <p>ყავის სიძლიერე ძალიან მაღალზეა დაყენებული</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ შეამცირეთ ყავის სიძლიერე
<p>რძე ან რძიანი სასმელები ზედმეტად ცხელია რძის ქაფს დიდი ფორები აქვს და შეწოვის ხმა მაღალია</p>	<p>ჭიქაში ცოტა რძეა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გამოიყენეთ მეტი რძე 2. შეცვალეთ აქაფების ხანგრძლივობა
<p>რძე ან რძიანი სასმელები ზედმეტად ცივია</p>	<p>ჭიქაში ზედმეტი რძეა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გამოიყენეთ ნაკლები რძე 2. შეცვალეთ აქაფების ხანგრძლივობა <hr/> <p>რძე ჭიქაში ზედმეტად ცივია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გამოიყენეთ თბილი რძე.
<p>ყავას არ აქვს ზედაპირზე წარმოქმნილი ნალექი</p>	<p>ყავის სახეობა არ არის იდეალური</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გამოიყენეთ ყავის ის სახეობა, რომელსაც უფრო მაგარი მარცვლები აქვს ▶ გამოიყენეთ ძლიერ მოხალული მარცვლები <hr/> <p>მარცვლები აღარ არის ახლად მოხალური</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გამოიყენეთ ახალი მარცვლები
	<p>დაფქვის ხარისხი არ არის მორგებული მარცვლებზე</p>

გაუმართაობა	მიზეზი და გაუმართაობის აღმოფხვრა
ყავას არ აქვს ზედაპირზე წარმოქმნილი ნალექი	<ul style="list-style-type: none"> ▶ დააყენეთ საფქვავი უფრო წმინდა დაფქვაზე. → "დაფქვის ხარისხის დაყენება", გვერდი 21
ყავა მჟავა	<p>საფქვავი ზედმეტად მსხვილ დაფქვაზეა დარეგულირებული</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ დააყენეთ საფქვავი უფრო წმინდა დაფქვაზე. → "დაფქვის ხარისხის დაყენება", გვერდი 21
	<p>ყავის სახეობა არ არის იდეალური</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გამოიყენეთ ყავის ის სახეობა, რომელსაც უფრო მაგარი მარცვლები აქვს ▶ გამოიყენეთ ძლიერ მოხალული მარცვლები
ყავა მწარეა	<p>საფქვავი ზედმეტად წმინდა დაფქვაზეა დაყენებული</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ დააყენეთ საფქვავი უფრო მსხვილ დაფქვაზე → "დაფქვის ხარისხის დაყენება", გვერდი 21
	<p>ყავის სახეობა არ არის იდეალური</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ შეცვალეთ ყავის სახეობა
ყავას დამწვრის გემო აქვს	<p>საფქვავი ზედმეტად წმინდა დაფქვაზეა დაყენებული</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ დააყენეთ საფქვავი უფრო მსხვილ დაფქვაზე → "დაფქვის ხარისხის დაყენება", გვერდი 21
	<p>ყავის სახეობა არ არის იდეალური</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ შეცვალეთ ყავის სახეობა
რძის ცვალეზადი ხარისხი	<p>რძის ქაფის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი რძე ან მცენარეული სასმელია გამოყენებული</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ შედეგის ოპტიმიზაცია შესაძლებელია რძის ან სხვა მცენარეული სასმელის შერჩევით
დანადგარის მიერ არ ხდება რძის ქაფის მიწოდება	<p>დანადგარი სავსეა წარმოქმნილი ნადებით.</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გაასუფთავეთ დანადგარი ნადებისგან. <p>რძის ასაქაფებელი დაბინძურებულია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გარეცხეთ რძის ასაქაფებელი ჭურჭლის სარეცხ მანქანაში <p>რძის ასაქაფებელი ვერ აღწევს რძის დონეს</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გამოიყენეთ მეტი რძე 2. დარწმუნდით რომ რძის ასაქაფებელი აღწევს რძის დონეს 3. ჩამოწიეთ ჩამოსხმის სისტემა ქვევით ბოლომდე

გაუმართაობა	მიზეზი და გაუმართაობის აღმოფხვრა
<p>დანადგარი არ ასხამს სასმელს.</p>	<p>წყლის ფილტრში ჰაერია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჩააღებთ წყლის ფილტრი წყალში ხვრელით ზემოთ იქამდე სანამ ჰაერის ბუშტუკები არ შეწყვეტს გამოსვლას. 2. ჩაამაგრეთ ფილტრი თავის ადგილას. <ul style="list-style-type: none"> ▶ ჩასვით წყლის ფილტრი პირდაპირ და მყარად ავზის შემაერთებელ ნაწილში <p>ნადების საწინააღმდეგო საშუალებების ნარჩენები იჭედება წყლის ავზში</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ამოიღეთ წყლის ავზი 2. საფუძვლიანად გარეცხეთ წყლის ავზი
<p>დანადგარის შიდა ძირზე წვეთავს წყალი</p>	<p>საწვეთური დროზე ადრე არის ამოღებული</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ საწვეთური გამოიღეთ სასმელის ბოლო ჩამოსხმიდან რამდენიმე წამში
<p>ხარშვის ბლოკის მოხსნა შეუძლებელია</p>	<p>ჩამკეტის ბლოკი არ იხსნება, ე.ი ხარშვის ბლოკი გაჭედილია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გამორთეთ დანადგარი და ჩართეთ 3 წუთის შემდეგ თავიდან
<p>საფქვავი არ ირთვება</p>	<p>დანადგარი გადახურებულია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გათიშეთ დანადგარი ელექტროქსელიდან 2. დაელოდეთ 1 საათი დანადგარის გაგრილებას
<p>ეკრანზე გამოსახულია "Fill water tank", მიუხედავად იმისა, რომ წყლის ავზი სავსეა</p>	<p>წყლის ავზი არასწორად არის ჩასმული</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ სწორად ჩააყენეთ წყლის ავზი <p>წყლის ავზში გაზიანი წყალია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ შეავსეთ წყლის ავზი ონკანის სუფთა წყლით <p>წყლის რეზერვუარში ტივტივა გაიჭედა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ამოიღეთ წყლის ავზი 2. საფუძვლიანად გარეცხეთ წყლის ავზი
	<p>ახალი წყლის ფილტრი არ გაიწმინდა ინსტრუქციის მიხედვით</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გარეცხეთ წყლის ფილტრი ინსტრუქციის მიხედვით 2. ჩაუშვით წყლის ფილტრი ექსპლუატაციაში
	<p>წყლის ფილტრში ჰაერია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჩააღებთ წყლის ფილტრი წყალში ხვრელით ზემოთ იქამდე სანამ ჰაერის ბუშტუკები არ შეწყვეტს გამოსვლას. 2. ჩაამაგრეთ ფილტრი თავის ადგილას.
	<p>წყლის ფილტრი ძველია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გამოიყენეთ წყლის ახალი ფილტრი

გაუმართაობა	მიზეზი და გაუმართაობის აღმოფხვრა
<p>ეკრანზე გამოსახულია "Fill water tank", მიუხედავად იმისა, რომ წყლის ავზი სავსეა</p>	<p>ნადების ნარჩენები წყლის ავზის სისტემაშია გაჭედილი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საფუძვლიანად გარეცხეთ წყლის ავზი 2. ჩართეთ მომსახურების პროგრამა Calc'nClean
<p>ეკრანზე გამოსახულია "Clean brewing unit"</p>	<p>ხარშვის ბლოკი დაბინძურებულია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გაწმინდეთ ხარშვის ბლოკი
<p>ეკრანზე გამოსახულია "Incorrect voltage"</p>	<p>ხარშვის ბლოკის მექანიზმის გამტარი მოჭერილია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გაწმინდეთ ხარშვის ბლოკი
<p>ეკრანზე გამოსახულია "Incorrect voltage"</p>	<p>ენერჯის წყაროში პრობლემაა</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ დანადგარი მიუსადაგეთ მხოლოდ 220 - 240 ვ
<p>ეკრანზე ხშირად არის გამოსახული "Calc'nClean required!"</p>	<p>დარბილებული წყალი მაინც შეიცავს მცირე რაოდენობით კირქვას</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჩასვით წყლის ახალი ფილტრი. 2. შესაბამისად დაარეგულირეთ წყლის სიხისტე. <p>არასწორი ან არასაკმარისი ნადების საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ ნადების მოსაშორებლად ,მხოლოდ შესაბამისი აბები გამოიყენეთ
<p>დანადგარი არ იმართება</p> <p>ეკრანის მაჩვენებლების შეცვლა</p>	<p>დანადგარი დემო რეჟიმშია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დემო რეჟიმის დეაქტივაციისთვის მინიმუმ 5 წამის განმავლობაში დააჭირეთ \cup ღილაკს 2. ამოიღეთ წყლის ავზი 3. შეავსეთ წყლის ავზი სუფთა წყლით 4. ისევ ჩააყენეთ წყლის ავზი
<p>ეკრანზე გამოსახულია "Close door", მიუხედავად იმისა, რომ კარი დაკეტილია</p>	<p>კარი სწორად არ არის დაკეტილი</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ კარს მიაწეკით და კარგად დაკეტეთ <p>დანადგარი გადახურებულია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გათიშეთ დანადგარი ელექტროქსელიდან 2. დაელოდეთ 1 საათი დანადგარის გაგრილებას
<p>ეკრანზე გამოსახულია "Empty trays", მიუხედავად იმისა, რომ საწვეთური ცარიელია</p>	<p>დანადგარი გამორთულია და ვერ აღიქვამს, რომ დაცლილია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჩართეთ დანადგარი და მოხსენით საწვეთური 2. ჩასვით საწვეთური ისევ უკან

გაუმართაობა	მიზეზი და გაუმართაობის აღმოფხვრა
<p>ეკრანზე გამოსახულია "Fill water tank" და შუქდიოდები ციმციმებენ</p>	<p>წყლის ავზი აკლია ან არასწორადაა ჩასმული</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ სწორად ჩააყენეთ წყლის ავზი <hr/> <p>დანადგარის მიღების სისტემა მშრალია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გაავსეთ წყლის ავზი სუფთა ცივი წყლით გაზის გარეშე <hr/> <p>წყლის ფილტრში ჰაერია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჩაალბეთ წყლის ფილტრი წყალში ხვრელით ზემოთ იქამდე სანამ ჰაერის ბუშტუკები არ შეწყვეტს გამოსვლას. 2. ჩაამაგრეთ ფილტრი თავის ადგილას.
<p>ეკრანზე გამოსახულია "Device too cold"</p>	<p>გარემოს ტემპერატურა ზედმეტად ცივია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ გამოიყენეთ დანადგარი 5 °C მაღალ ტემპერატურაზე
<p>ეკრანზე გამოსახულია "Restart appliance" შუქდიოდები ციმციმებენ</p>	<p>ხარშვის ბლოკი ძალიან დაბინძურებულია ან მისი მოხსნა შეუძლებელია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ ხელახლა ჩართეთ დანადგარი ▶ გაწმინდეთ ხარშვის ბლოკი
<p>ეკრანზე გამოსახულია "Restart appliance" არცერთი შუქდიოდი არ ანათებს</p>	<p>დანადგარი გაუმართავია</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ ხელახლა ჩართეთ დანადგარი
<p>ეკრანზე ციმციმებენ: "Clean/ fill water tank", calc'n Clean და </p>	<p>ნადების მოშორების პროცესი შეწყდა</p> <ul style="list-style-type: none"> ▶ იმოქმედეთ როგორც ნაჩვენებია: → "მომსახურების პროგრამის განულება", გვერდი 27

13 ტრანსპორტირება, შენახვა და განკარგვა

13.1 ყინვისგან დაცვის გააქტიურება



ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს დაიცავით დანადგარი ყინვისგან

ყურადღება!

დანადგარში დარჩენილი სითხის ნარჩენების გამო, იგი შეიძლება დაზიანდეს ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს

- ▶ ტრანსპორტირების ან შენახვის წინ დაცალეთ დანადგარის მილსადენი სისტემა

მოთხოვნები

- დანადგარი მზადაა ექსპლუატაციისათვის
 - წყლის ავზი სავსეა
1. მოათავსეთ დიდი ჭურჭელი ჩამომსხმელი სისტემის ქვეშ და ჩაუშვით რძის ასაქაფებელი ქვემოთ
 2. დააჭირეთ Milk დილაკს მინიმუმ 5 წამის განმავლობაში
 - ✓ დილაკის შუქდიოდი ციმციმებს და დანადგარი ცხელდება
 3. თუ რძის ასაქაფებელიდან ორთქლი ამოვა, მოხსენით წყლის ავზი
 4. დაელოდეთ სანამ ორთქლი არ გაქრება და ეკრანზე  "Water tank empty" გამოჩნდება
 5. გამორთეთ დანადგარი  დახმარებით
 6. დაცალეთ წყლის ავზი და საწვეთური და საფუძვლიანად გარეცხეთ დანადგარი
 7. გათიშეთ დანადგარი დენის წყაროდან

ახლა შეგიძლიათ დანადგარის ტრანსპორტირება და დასაწყობება

შენიშვნა: ახლა ხარშვის ბლოკი დაცულია და ველარ შეძლებთ მის ამოღებას

13.2 ძველი დანადგარების განკარგვა

გარემოს დაცვითი გადაგდებისას, შესაძლებელია ძვირფასი ნივთიერებების ხელახლა გამოყენება.

1. გამოსწიეთ ქსელის გაყვანილობის ქსელის შტეკერი.
2. გათიშეთ ქსელის შეერთების კავშირი.
3. მოწყობილობის ეკოლოგიურად უსაფრთხოდ განკარგვა.

განკარგვის მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ თქვენს მოვაჭრესთან ან რეგიონულ სამმართველოში.



ეს დანადგარი აღნიშნულია ელექტრო და ელექტროლითი დანადგარების (ელექტრო ნარჩენები და ელექტრონული აღჭურვილობები WEEE) ევროპის 2012/19/EU რეგულაციების შესაბამისად. ევროპის ფარგლებში, ეს რეგულაციები იძლევა ძველი დანადგარების უკან დაბრუნებისა და შეფასების საშუალებას.

14 კლიენტთა მომსახურების სამსახური

ფუნქციონალურად მნიშვნელოვანი ორიგინალური სათადარიგო ნაწილები ეკ მოქმედი რეგლამენტის შესაბამისად შეგიძლიათ შეიძინოთ ჩვენ კლიენტთა დახმარების სამსახურში თქვენი მოწყობილობის ევროპული ეკონომიკური სივრცის ბაზარზე განთავსებიდან მინიმუმ 7 წლის განმავლობაში.

შენიშვნა: მწარმოებლის გარანტიის ფარგლებში კლიენტთა მომსახურების სამსახურის ჩარევა უფასოა.

გარანტიის ვადის და თქვენს ქვეყანაში მისი მოქმედების პირობების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოითხოვოთ მომსახურების ცენტრში, თქვენს დისტრიბიუტორთან და ჩვენს ვებ-გვერდზე.

კლიენტთა მომსახურების სამსახურში დარეკვისას, თქვენ დაგჭირდებათ დანადგარის პარტიისა (E-Nr) და წარმოების ნომერი (FD).

კლიენტთა მომსახურების სამსახურის საკონტაქტო მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ კლიენტთა მომსახურების სარჩევში ან ჩვენს ვებ-გვერდზე.

14.1 ნაწარმის არტიკული (E-Nr) და ქარხნული ნომერი (FD)

ნაწარმის არტიკული (E-Nr) და ქარხნული ნომერი (FD) შეგიძლიათ იხილოთ მანქანის კარზე მოთავსებულ პასპორტის დაფაზე. თქვენი დანადგარის მონაცემებისა და კლიენტთა მომსახურების ტელეფონის ნომრის სწრაფად მოსაძიებლად, შეგიძლიათ იხილოთ ჩაინიშნოთ.

15 ტექნიკური მონაცემები

ძაბვა	220– 240 V ~
სიხშირე	50 / 60 Hz
შეერთების ძაბვა	1300 W
ტუმბოს მაქსიმალური წნევა, სტატიკური	15 bar
მაქსიმალური ტევადობა, წყლის ავზი (ფილტრის გარეშე)	1,3 l
მაქსიმალური ტევადობა, მარცვლების კონტეინერი	≈250 g
მიწოდების ხაზის სიგრძე	100 cm
დანადგარის სიმაღლე	38,3 cm
დანადგარის სიგანე	25,1 cm
დანადგარის სიღრმე	43,3 cm
წონა, შეუვსებელი	≈8-9 kg
საფქვავის ტიპი	კერამიკა / ფოლადი



Thank you for buying a Bosch Home Appliance!

Register your new device on MyBosch now and profit directly from:

- **Expert tips & tricks for your appliance**
- **Warranty extension options**
- **Discounts for accessories & spare-parts**
- **Digital manual and all appliance data at hand**
- **Easy access to Bosch Home Appliances Service**

Free and easy registration – also on mobile phones:

www.bosch-home.com/welcome



Looking for help? You'll find it here.

Expert advice for your Bosch home appliances, help with problems or a repair from Bosch experts.

Find out everything about the many ways Bosch can support you:

www.bosch-home.com/service

Contact data of all countries are listed in the attached service directory.

BSH Hausgeräte GmbH

Carl-Wery-Straße 34
81739 München, GERMANY
www.bosch-home.com

A Bosch Company



8001284551 (030412)

ka